ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მოსწავლეებში ზნეობრივ–სოციალური ორიენტაციების ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქეობრივი აღზრდის პედაგოგიური პირობა

[1]ნინო ორჯონიკიძე, [2]მაია ახვლედიანი

[12]აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი თამარ მეფის ქუჩა №59

ანოტაცია:

მოქალაქის აღზრდის სოციალურ-პედაგოგიური პრობლემა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად აღმოცენდა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, დაინტერესებულია იმით, რომ ჰყავდეს ერთგული, თავდადებული ადამიანები იმ იდეალებისათვის, რომელსაც ეს სახელმწიფო ანხორციელებს. სწორედ ამიტომ, ყველა დროის მოაზროვნეთა ფიქრი და აზრი მეტ-ნაკლებად ამ პრობლემის გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული.

მოქალაქეობრივი აღზრდის ადგილისა და როლის საკითხის თეორიული გადაწყვეტის უაღრესად საინტერესო გზებია მოცემული ჯერ კიდევ ანტიკურ მოაზროვნეთა შემოქმედებაში.

მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემაზე პედაგოგიკურ შეხედულებათა შემდგომმა განვითარებამ აღზრდის კლასიკური, უნივერსალური თეორიის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა.

მოქალაქეობრივი აღზრდისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის შინაარსი მოიცავს იდეურ მრწამსს, საზოგადოებრივ აქტივობას, მოქალაქეობრივ სინდისსა და მოქალაქეობრივ სიმამაცეს.

საგანგებოდ ორგანიზებულ გარემოში - სკოლაში, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ მოქალაქეობრივი წრთობა, მიიღწევა მნიშვნელოვანი შედეგები მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: *მოქალაქე, აღზრდა, გარემო.*

მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის შინაარსი წარმოადგენს სხვადასხვა ურთიერთობის მოწესრიგებულ მთლიანობას, რომელშიც ერთვება პიროვნება საკუთარი ცხოველმოქმედიანობის პროცესში. პიროვნების ცხოველმოქმედიანობა მოიცავს სულიერ, პოლიტიკურ, ზნეობრივ, პატრიოტულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებს. ამ ურთიერთობებში ჩართვისას, ადამიანი ივითარებს მთელ რიგს თვისებებისას.

მოქალაქეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, ყველაზე ოპტიმალურია უფროსი სასკოლო ასაკი. უფროსი სასკოლო ასაკი არის მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისა და ცხოვრებისეული გზის არჩევის პერიოდი, როდესაც მკვეთრად ფართოვდება ურთიერთობების სფერო. ამ პერიოდში აღმოცენდება მოსწავლეთა მიერ ზნეობრივი

ISSN 1512-1801

პრინციპების ღრმად დაუფლების არა მარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაც. ეს განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების ამ საფეხურზე ახერხებს ადამიანის საზოგადოებასთან მრავალმხრივ კავშირებში შესვლას. სწორედ აქედან იწყება მოსწავლის ცხოვრებაში თვისებრივად ახალი სვლა დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, სერიოზული მზადება საზოგადოებაში შრომითი საქმიანობისათვის. ეს არის ზნეობრივი ძალების აღმავლობის პერიოდი. სწორედ ამ პერიოდში იქმნება სოციალური ოპტიმიზმის გრძნობის აღმოცენების საუკეთესო პირობები. სოციალური ოპტიმიზმი მოქალაქეობრივი შეგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

პესიმიზმი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის პიროვნებაზე, ბოროტებას, ურწმუნობას უნერგავს მას. ასეთი პიროვნება საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველგვარ პოტენციასაა მოკლებული. მას არ ძალუძს დაინახოს რაიმე პროგრესი ჩვენს ცხოვრებაში, მრუდე სარკეში ხედავს ყოველგვარ პოზიტიურს, ხოლო ნეგატიური ერთობ გაზვიადებულად წარმოუდგება.

სოციალური ოპტიმიზმის ჩამოყალიბება განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში, სადაც ერთი საზოგადოებრივი წყობილებიდან მეორეზე გარდამავალი პერიოდის სიძნელეები დიდ სოციალურ აქტივობას მოითხოვს თითოეული მოქალაქისაგან.

საერთოდ, ახალგაზრდობას ახასიათებს ინიციატივისაკენ სწრაფვა. ისიც ფაქტია, რომ ახალგაზრდობა ზოგჯერ უფრო კარგად ხედავს რეალობას, ვიდრე უფროსი თაობა, ამასთან, მისი მოქმედება მეტწილად თავისუფალია გაორებისაგან. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ახალგაზრდობა უფროსებისაგან განსხვავებით, არ უფრთხილდება საკუთარი საზოგადოებირვი სტატუსის დაკარგვას. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდებს განსხვავებული, თავისებური დამოკიდებულება აქვთ დანაშაულისა და სასჯელის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი დამოკიდებულება უფრო ახლოა ჭეშმარიტ მოქალაქეობრივ პოზიციასთან.

ამ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისადმი ჩვენი დამოკიდებულების ნორმათა უმრავლესობა აგებულია აკრძალვათა მთელ სისტემაზე. ახალგაზრდას ეუფლება სურვილი გადალახოს ეს დაბრკოლებები. არ შეეგუოს მათ. ცნობილია, რომ რაც უფრო მეტად კრძალავენ ამა თუ იმ ლიტერატურას, მით უფრო მეტია მისი გავრცელების არე და მისდამი ინტერესი. ამიტომ, სამართლიანია მოთხოვნა, რომ იკლოს რეგლამენტაციამ და მეტი დამოკიდებულება და ინციატივის გამოვლენის უფლება მიეცეთ მოსწავლეებს.

ღირებულებათა ორიენტაციების ხელოვნური დაპირისპირება თაობათა შორის არსებულ წინააღმდეგობებს უფრო ამწვავებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალგაზრდებს აქვთ ძლიერი მიდრეკილება ყოველგვარი სიახლისადმი და აიძულებს მათ დაარღვიონ მკაცრად დადგენილი ჩარჩოები, რაც ხშირად კონფლიქტების მიზეზი ხდება.

მოზარდის სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციების შინაარსსა და მიმართულებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რელიგიური რწმენის ხარისხი.

რელიგიური რწმენის აღზრდა, რელიგიის სწავლება აღიქმება, როგორც არსებითი საშუალება პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ISSN 1512-1801

მოქალაქეობრივი შეგნება, მოქალაქის პიროვნება წარმოუდგენელია ინტელიგენტურობის ელემენტების გარეშე.

ინტელიგენტურობა ჩვენში ხშირად არასწორად არის გაგებული. მეტწილად იგი გონებრივი შრომის მუშაკებს უკავშირდება ანუ ცოდნასთან არის დაკავშირებული. სინამდვილეში ინტელიგენტურობა არ არის არც ცოდნის დიდი მარაგი, არც სპეციალიზაცია რომელსამე პროფესიაში, ინტელიგენტობა უფრო სულიერი წყობაა, რომელიც პიროვნების ცხოვრების წესს განსაზღვრავს.

ინტელიგენტია ის, ვინც იცავს ზოგადკაცობრიული კეთილდღეობის ინტერესებს. ინტელიგენტი ცხოვრობს და მუშაობს აწმყოში ისე, როგორც მომავალში, ზოგადკაცობრიული კეთილდღეობის პირობებში იცხოვრებს და იმუშავებს ადამიანი. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ინტელიგენტს ეს გაცნობიერებული ჰქონდეს ზუსტად ან თუნდაც ზოგადად. ამ გაგებით, ინტელიგენტურობა თითქმის ყოველთვის არაცნობიერია, პირიქით, მეტისმეტ გაცნობიერებას ამ საქმეში შეუძლია მხოლოდ ხელი შეუშალოს ინტელიგენტურობას. როგორც ცხოვრების ცოცხალ პროცესს. „ინტელიგენტურობის კულტურული მნიშვნელობა, რაც მუდამ არსებობს საზოგადოებრივ-პირადულ და ბუნებრივი ნაკლოვანებთა შორის, უფრო ზოგადი ფორმით შეიძლება განისაზღვროს, როგორც მუდმივი და განუხრელი სწრაფვა არა ჭვრეტისაკენ, არამედ სინამდვილის გაკეთებისაკენ. ინტელიგენტურობას, ზოგადკაცობრიული კეთილდღეობის გრძნობის საფუძველზე აღმოცენებულს, არ შეუძლია არ დაინახოს ცხოვრების ყველა ნაკლი და არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დარჩეს მისადმი გულგრილი. ამისათვის ინტელიგენტს ბევრი ფიქრი არ სჭირდება. ინტელიგენტურობა, პირველ რიგში, ცხოვრებისეული ნაკლის ინსტინქტური გრძნობაა და მისდამი ინსტიქტური ზიზღია... ინტელიგენტის კულტურა გამორიცხავს ცხოვრებისეულ ნაკლთა გულგრილ ჭვრეტას, მაგრამ როგორც ტერმინ „კულტურას" მნიშვნელობა მოითხოვს, არსებობს სინამდვილის გადაკეთება იმ მიზნით, რომ „მიღწეულ იქნას და განხორციელდეს თითოეული ინტელიგენტის სანუკვარი და იდუმალი ოცნება - იმუშაოს ზოგადკაცობრიული კეთილდღეობის მისაღწევად".

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ მოქალაქეობრივი აღზრდის შინაარსში ინტელიგენტურობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია.

მოქალაქეობრივ აღზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბებას. მისი ჩამოყალიბება პირდაპირ არის დაკავშირებული სამართლებირვი ცოდნის გადაცემასთან.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში საბჭოურ პედაგოგიკაში მიჩნეული იყო, რომ სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს იმ მოვალეობთა გაცნობიერებას, რასაც იურიდიული კოდექსები აკისრებს ადამიანებს. სამართლებრივი აღზრდა მიმართული იყო მოვალეობებზე და ყურადღების მიღმა ტოვებდა პიროვნების უფლებებს. მეცნიერებაში კი დიდი ხანია ცნობილია, რომ მოვალეობანი მაშინ არის გაცნობიერებულ-გათავისებული, როდესაც მას საფუძვლად უძევს პიროვნული უფლებების ღრმად გააზრება. ლოგიკურად, ცხადია, ეს დავას არ იწვევს, რადგან, ადამიანი ერთგულად იმიტომ ასრულებს მოვალეობებს, რათა თავისი უფლებები შეინარჩუნოს და დაიცვას. საკუთარი უფლებების გაცნობიერების გარშე სამოქალაქო შეგნება არ არასებობს. სწორედ ამიტომ შემოიღეს ამ რამდენიმე წლის წინ სკოლებში

ISSN 1512-1801

„ბავშვთა უფლებების კონვენციისა" და „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის" სწავლება. ამ საგნებმა „სამართლის საფუძვლებთან" ერთად შეკრეს სამართლებრივი ცოდნის წრე, რაც მოსწავლეთა სამართლებირვ შეგნებას უნდა დაედოს საფუძვლად.

ბავშვთა უფლებების სწავლებისას მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნის ცხოვრებაში რეალიზაციის უნარის გამომუშავება ბავშვებში. სასკოლო ცხოვრება ამ უნარის გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა. ბავშვებში უნდა იცნობდნენ არა მარტო საკუთარ, არამედ პატივს უნდა სცემდნენ სხვების უფლებებსაც. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სხვისი უფლებების პატივისცემა მათი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. სამოქალაქო საზოგადოების პრინციპი - „შენი უფლება იქ თავდება, სადაც იწყება სხვისი" - ბავშვების ურთიერთობის ძირითად პრინციპად უნდა იქცეს.

პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში ღირსების გრძნობის განვითარებას მეტად მნიშვნელოავნი როლი აკისრია. სწორედ ამას ამკვიდრებს „კონვენციის" მე-15 მუხლი - „ბავშვი უნდა იზრდებოდეს ღირსებისა და პატივისცემის ატმოსფეროში". ბავშვმა - მომავალმა მოქალაქემ უნდა გაიგოს, რომ თითოეულს, როგორც ერთადერთსა და განუმეორებელ პიროვნებას, პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. ასვე უნდა გაითავისონ ისიც, რომ პატივისცემა ცალმხრივად არ არსებობს და რომ სწორედ ურთიერთპატივისცემა წარმოადგენს სიყვარულის, მეგობრობის და თანამშრომლობის საფუძველს.

ასევე პრინციპულად ამკვიდრებს „კონვენცია" ბავშვის უფლებას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის შესახებ. საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი, მოაზროვნე პიროვნების - მოქალაქის ჩამოყალიბება.

საკთარი აზრის გამოთქმის უფლების სრულად გაცნობიერებისათვის აუცილებელია ბავშვებს თავიდანვე შეეძლოთ ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამით ისინი თავიდან აიცილებენ ბევრ უხერხულობას, რაც ხშირად გვხვდება მოზრდილთა ცხოვრებაში.

არ არსებობს ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი შეგნება შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების გარეშე. მეტიც, ადამიანი სრულყოფილ პიროვნებად ვერ ჩაითვლება, თუ მას არა აქვს შრომის მოთხოვნილება, ვერ აცნობიერებს შრომის ღირსებას.

ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მთავარი აქცენტი უნდა გადავიტანოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაზე.

მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება პირდაპირ უკავშირდება ცხოვრებისეული გზის არჩევანს, რადგან ამგვარ არჩევანს ზნეობრივი საფუძველი აქვს. ადამიანის პიროვნების გასაგებად არ კმარა იმის ცოდნა, თუ ცხოვრების რა გზას ირჩევს იგი. უფრო მნიშვნელოვანია მოტივის გაგება - რატომ ირჩევს ამას და არა სხვას. ზოგადად თუ ვიტყვით, ზნეობრიობა განსაზღრავს პიროვნების მიმართულების ტენდენციას. ზნეობრივმა და არაზნეობრივმა პიროვნებებმა შესაძლებელია სავსებით ერთნაირი ცოდნა და პროფესიული კვალიფიკაცია მიიღონ, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული იქნება მათი საქმიანობის საზოგადოებრივი ღირებულება.

მოქალაქეობრივი შეგნება გარკვეულ პოლიტიკურ შეხედულებათა ერთობლიობას გულისხმობს. ცხადია, პოლიტიკაში სავსებით გაურკვეველი პიროვნება

ISSN 1512-1801

მაღალმოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ვერ იქნება. ამიტომ, საკითხავია, რა ადგილი უნდა დაიკავოს პოლიტიკურმა ღირებულებებმა მოსწავლის შეხედულებათა საერთო სისტემაში.

რა თქმა უნდა, სწორია ის მიდგომა, რომელიც გულისხმობს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე პოლიტიკური ზეგავლენის გამორიცხვას. პოლიტიზირებული განათლების სისტემის ავ-კარგი საყოველთაოდ არის ცნობილი ჩვენში. ცხადია, სკოლა თავისუფალი უნდა იყოს პარტიების პოლიტიკური ზეგავლენისაგან, მაგრამ იგი არ შეიძლება სავსებით თავისუფალი იყოს პოლიტიკისაგან. ქვეყნისათვის ერთი როდია, ქვეყნის მართვის დემოკრატიული ფორმის ერთგული იქნება თუ არა სკოლის კურსდამთავრებული. სწორედ ამიტომ, მომავალ მოქალაქეებს უნდა ჩამოვუყალიბოთ არა მარტო მსოფლმხედველობრივი იდეოლოგია, არამედ აგრეთვე, ფუნდამენტური პოლიტიკური მრწამსი ანუ ისეთი პოლიტიკური შეხედულებების სისტემა, როგორიც საზოგადოდ განსაზღვრავს მის პოლიტიკურ ორიენტაციებს. პირველ ყოვლისა, მოზარდის შეგნებაში უნდა განვამტკიცოთ ის ძირითადი ღირებულებანი, რომელსაც დემოკრატიული მართვის სისტემა ეყრდნობა. ეს არის საქართველოს ყველა მოქალაქის პოლიტიკური თანასწორობა. ეს თანასწორობა განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეთა შორის სულიერი ერთობის საფუძვლებს. სულიერი ერთობის აღზრდას მეთოდოლოგიურ საფუძვლად უნდა დაედოს ტოლერანტიზმი, ტოლერანტული მიდგომა მოქალაქისა და მამულიშვილის აღზრდისადმი გამორიცხავს ეროვნული ნიშნით მოქალაქის ზნეობრივი და ინტელექტუალური ღირებულებების შეფასებას.

ტოლერნტიზმის პრინციპი გამორიცხავს კოსმოპოლიტიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. იგი ემყარება აღზრდაში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული თავისებურებების ერთიანობის პრინციპს.

მოსწავლეებმა კარგად უნდა იცოდნენ დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის პრინციპები და თითოეული მოქალაქის ადგილი და როლი სახელმწიფოს ერთიან სტრუქტურაში.

ჩვენში პოლიტიკურ პარტიათა დიდი მრავალფეროვნება და მრავალწახნაგოვნება შეინიშნება. ჭრელია პოლიტიკურ შეხედულებათა სპექტრი. ამასთან, საქართველო კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე მრავალეროვან სახელმწიფოდ. ამიტომ, დემოკრატიულ-პოლიტიკურ პრინციპებზე აღზრდას ჩვენში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება.

სამოქალაქო შეგნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის წარმოდგენებს ოჯახზე, ოჯახურ ურთიერთობებზე. ოჯახი ის სოციალური ფენომენია, რომელშიც მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების მიკროსქემაა წარმოადგენილი. შეუძლებელია მაღალი საზოგადოებრივი შეგნება ჰქონდეს იმ ადამიანს, რომელსაც ოჯახისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ახასიათებს.

საოჯახო ეკონომიკა, საოჯახო იერარქია, ურთიერთვალდებულებები, განვითარების პერსპექტივაზე ორიენტირება ოჯახის თითოეულ წევრს კონკრეტულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მოსწავლემ, რა თქმა უნდა, პედაგოგთა დახმარებით, უნდა გაიცნობიეროს ოჯახის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია და თითოეული მისი წევრის ადგილი და როლი ამ საქმეში. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ

ISSN 1512-1801

ოჯახი სახელმწიფოებრიობის პირველადი უჯრედია. სახელმწიფოს დასაყრდენი მხოლოდ ოჯახია, მეტიც, სწორედ ოჯახი ქმნის სახელმწიფოს, რომელიც მას ესაჭიროება თავისი საოჯახო სუვერენიტეტის დასაცავად.

მოსწავლეებს უნდა გავაგებინოთ, რომ ერთ დიდ ოჯახად - სახელმწიფოდ გაერთიანებული ოჯახები თავის საკუთარ სახეს კი არ კარგავენ, არამედ სწორედ ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება უნარჩუნებს მათ საკუთარ სახესა და თავისებურებებს. ამიტომ ოჯახისადმი ერთგულება ქვყენის ერთგულებას ნიშნავს, საოჯახო პრობლემებზე ზრუნვა საზოგადოებრივ პრობლემებზე ზრუნვაა.

ამავე დროს, მოზარდს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ის დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომელიც შვილების აღზრდს გულისხმობს. ამიტომ, მამობისა და დედობისათვის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მომზადებასაც გულისხმობს. საზოგადოების მომავალი ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს.

მოქალაქეობირვი აღზრდის შინაარსში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს თავისი თავისადმი ზენობრივმა დამოკიდებულებამ. საზოგადოებაში, კოლექტივში საკუთარი ადგილისადმი დამოკიდებულება, საკუთარ თავთან განმარტოებისას საკუთარი ქცევების ზნეობრივი მხარის განსჯის უნარი სოციალური პიროვნების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. საკუთარი ბუნებრივი სტატუსის გაცნობიერება მეტწილად წარმოჩინდება პიროვნული ქცევის ნორმებით.

ერთ-ერთი ასეთი გამოვლინებაა შეგნებული დისციპლინა და დისციპლინიანობა.

დისციპლინის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა აღზრდის პრაქტიკაში. უდისციპლინობაში თავს იყრის ზნეობრივი ქცევის ნეგატიური ნიშნები - სიზარმაცე, უხეშობა, კულტურული ნორმების დარღვევა და ა.შ. ეს ბუნებირვია, რადგან იგი ყველაზე აშკარად გამოხატავს საზოგადოებრივ მოთხოვნებთან ადამიანის ქცევის შესაბამისობის ხარისხს.

ღირსება მაღალმოქალაქეობრივი თვისებაა. მისი აღზრდა განაპირობებს აღსაზრდელის ცხოვრების ატმოსფეროს გაჯანსაღებას. ღირსება ისეთი თვისებების ინტეგრალური ერთიანობაა, როგორიც არის მოვალეობა, სინდისი, სამართლიანობა. ამიტომ ღირსების გრძნობის აღზრდა-განმტკიცება პიროვნებაში, მისი ცალკეული ელემენტების ჩამოყალიბება-განმტკიცებასაც გულისხმობს.

მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება დიდად არის დამოკიდებული ოჯახში ზნეობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან. ოჯახის წევრთა ზნეობრივი ურთიერთობა წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის მთელ ცხოვრებაზე, რადგან სწორედ ამ ურთიერთობებშია აკუმულირებული ის საფუძვლები, რომელსაც შემდგომში საზოგადოებასთან, შრომასთან, ადამიანებთან ურთიერთობა უნდა დაეყრდნოს.

სიყვარული, როგორც ზნეობრივი გრძნობა, როგორც ადამიანთან ადამიანის ურთიერთობის ერთ-ერთი გამოვლინება, როგორც ჰუმანიზმის საფუძველი, ოჯახში იბადება. მშობლებისადმი, დედმამიშვილებისადმი, ახლობლებისადმი სიყვარული ედება საფუძვლად პატრიოტულ გრძნობებს. ბავშვს თუ თავისი ახლობლები, დედ-მამა არ უყვარს, - ამტკიცებდა ა. მაკარენკო - ძნელია, მისგან პატრიოტიზმს, სამშობლოს სიყვარულს მოელოდე.

ISSN 1512-1801

ყოველივე ზემოთქმული იმას გულისხმობს, რომ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის, კერძოდ, მოქალაქეობრივი აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მოსწავლის პიროვნების ზეონბრივი მიმართულების ჩამოყალიბებაა. ზნეობრივი მიმართულება კი, - როგორც პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია, - მყარი საზოგადოებრივი პოზიციის გამოვლინებაა, რაც, საერთოდ, მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ყალიბდება. ასეთი მიმართულების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის მრწამსი, განწყობები, ინტერესები და მოთხოვნილებები, რაც უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს აღმზრდელმა პედაგოგმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კალაძე ი. მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრობლემა/კრებულში „თავისუფალი პიროვნების განვითარებისათვის", თბილისი, 1996 წ.
2. მერლინი გ. ლექციები ადამიანის მოტივების შესახებ. პერმი, 1971წ. (რუს. ენაზე).
3. შრეიდერი ი. ლექციები ეთიკაზე, მ., 1994წ. (რუს. ენაზე).
4. www.ef.kz/upa/education-systems
5. www.intelstudy.ru/obr_sys.php